საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების და ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 12^1 მუხლის, ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი

2013 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის——————————————————3 გვ.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია——————————————————————————4 გვ.

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი——————————8 გვ.

4. დანართი №1———————————————————————————— 12 გვ.

5. დანართი №2–განფასების ცხრილების (პრეისკურანტების) ფორმა——————13 გვ.

1. ინსტრუქცია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1.1 ელექტრონული შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში სისტემა) მეშვეობით.

1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის და და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.3 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.5 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.7 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა #16, მე–8 სართული, მე–9 ოთახი. საკონტაქტო პირები: მაკა სოხაძე, ქეთევან ხაჩიძე, ტელ.: 032 2 261 337, 032 2 261 334.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ინფორმაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოდან, რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

დ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.

2.1.2 ინდივიდუალური მეწარმეთათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოდან, რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.

2.1.3 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.

2.2 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე–2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

2.3 ამ პუნქტის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.4 ანგარიშსწორების პირობები:

2.4.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.4.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.4.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 დღის განმავლობაში.

2.4.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.4.5 დაფინანსების წყარო: 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

2.5 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ბალანსზე რიცხული ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში პრეტენდენტმა ავტომობილებს უნდა გაუწიოს შემდეგი სახის ტექნიკური მომსახურება:

- პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური მომსახურება;
- ავტომობილის ოპერატიული შეკეთება. ამასთან, მომსახურების ვადა თითოეულ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს:

1. სავალი ნაწილებისათვის ერთიდან ორ დღემდე;
2. ელექტროობისათვის ერთი დღე;
3. აგრეგატებისათვის ერთიდან სამ დღემდე;
4. სათუნუქე სამღებრო სამუშაოებისათვის ერთიდან ხუთ დღემდე;
5. ხანგრძლივი მომსახურების (ძრავის, სიჩქარეთა კოლოფის) გაწევის დრო ერთიდან თხუთმეტ დღემდე, ხოლო დეფიციტური სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფა - არაუმეტეს ოცი კალენდარული დღე.
   - სათადარიგო ნაწილების შეკეთება ან/და შეცვლა;
   - საცხებ–საპოხი მასალების შეცვლა.

აღნიშნული მომსახურება უნდა განხორციელდეს საჭიროების მიხედვით ქ. თბილისში და ქ. ბათუმში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, პრეტენდენტის საწარმოო ფართზე.

ტექნიკური შესაძლებლობები – პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მომსახურების გაწევისათვის გამოყენებული ძირითადი და სათადარიგო მანქანა–დანადგარების საწარმოო სიმძლავრეები, ქ. თბილისში უნდა გააჩნდეს მინიმუმ 10 ბოქსი, ხოლო ქ. ბათუმში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მინიმუმ 2 ბოქსი. ასევე, საჭირო ფართი იმისათვის, რომ უზრუნველყოს შემსყიდველის ავტომობილების განთავსება აღნიშნულ ტერიტორიაზე. ამასთან, ქ. თბილისში უზრუნველყოს

ავტომობილების ტექნიკური მომსახურების გაწევა ერთდროულად – მინიმუმ 10 ავტომობილი, ხოლო ქ. ბათუმში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე - მინიმუმ 2 ავტომობილი.

ავტომობილების მომსახურება გაწეული უნდა იქნას დაუყოვნებლივ, რიგგარეშე.

ავტომობილის დაზიანებული ნაწილი უნდა შეიცვალოს ახალი, ორიგინალი სათადარიგო ნაწილით.

მიმწოდებლის მიერ შეცვლილ სათადარიგო ნაწილებზე ქარხნული გარანტია უნდა ვრცელდებოდეს მინიმუმ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, შეკეთებულ სათადარიგო ნაწილებზე გარანტია უნდა ვრცელდებოდეს მინიმუმ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, გარდა სწრაფ ცვეთადი დეტალებისა (კერძოდ, გახურების ნათურები, ანთების სანთლები, გახურების სანთლები, დამცველები, სამუხრუჭე ხუნდები, გადაბმულობის ამყოლი და მიმყოლი რგოლები (ფრიქციონები), ზეთის, კონდიციონერის, ჰაერისა და საწვავის ფილტრები, მინის მრეცხავები, ანთების საკონტაქტო ერთეულები და მტვერდამცავები (პილნიკები)) და იმ შემთხვევისა, როდესაც დაზიანება გამოწვეულია არასწორი ექსპლუატაციით გამოწვეულ დაზიანებებზე, კერძოდ, გარეგანი მექანიკური ზემოქმედებით გამოწვეულ დაზიანებებზე.

პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს ფასები განსაფასებელი ცხრილების (პრეისკურანტების) ჩამონათვალში მოცემულ სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების ყველა სახეობაზე, რომლებიც არ უნდა აღემატებოდეს შემსყიდველის მიერ განსაფასებელ ცხრილებში (პრეისკურანტებში) მითითებულ თითოეულ პოზიციაზე სავარაუდო მაქსიმალურ ღირებულებებს. პრეისკურანტში განუფასებელი ან ნულით განფასებული სათადარიგო ნაწილები და მომსახურება შემსყიდველის მიერ არ ანაზღაურდება და ჩაითვლება, რომ ამ სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების ღირებულება დაიფარება სხვა სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების ხარჯზე.

განსაფასებელ ცხრილებში მითითებული მომსახურების ფასები უნდა იყოს საბოლოო და საჭიროების შემთხვევაში მოიცავდეს კონკრეტული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული თანმდევი მომსახურების ღირებულებასაც.

ავტომობილების მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დეფექტური აქტის შედგენის შემდეგ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო საქონლის (სათადარიგო ნაწილების) დეტალური აღწერა, აგრეთვე, მომსახურების დაწყებისა და დასრულების ვადები.

თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღმოჩნდება, რომ განფასების ცხრილში (პრეისკურანტში) არ არის საჭირო მომსახურება, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება მხარეთა შორის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ს.

განფასების ცხრილების (პრეისკურანტების) ჯამური სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 117574 (ასჩვიდმეტიათას ხუთასსამოცდათოთხმეტი) ლარს.

შენიშვნა:

ა) პრეისკურანტის ღირებულება წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი #2–ში მოცემული განფასების ცხრილების (პრეისკურანტების) ჯამური ღირებულების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს განცხადებაში მითითებული პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებისა და განფასების ცხრილების თითოეულ პოზიციაზე მითითებული სავარაუდო მაქსიმალური ერთეულის ფასისა;

ბ) ტენდერში ვაჭრობა გაიმართება განფასების ცხრილების ჯამურ სავარაუდო ღირებულებაზე;

გ) ავტომობილების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთების და ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმდება 50 000 (ორმოცდაათიათასი) ლარზე;

დ) დაბალფასიანი პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ პირვანდელ და საბოლოო ფასებს შორის სხვაობა სატენდერო კომისიის მიერ გამოანგარიშდება პროცენტულად, რომლის მიხედვითაც დაევალება პრეტენდენტს წარმოადგინოს კორექტირებული პრეისკურანტები ზემოაღნიშნული პროცენტული მაჩვენებლი პროპორციულად თითოეული მომსახურებისა და საქონლისათვის.

2.6 გასაწევი მომსახურების სავალდებულო ვადები და პირობები:

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ბალანსზე რიცხული ავტომობილების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (საჭიროების მიხედვით ქ. თბილისი ან ქ. ბათუმში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე) ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მიმწოდებლის საწარმოო ფართზე.

2.7 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.7.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები დანართი №1–ის მიხედვით.

2.7.2 განფასების ცხრილები (პრეისკურანტები) დანართი №2–ის მიხედვით, რომლებშიც მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს შემსყიდველის მიერ განსაფასებელ ცხრილებში (პრეისკურანტებში) თითოეულ პოზიციაზე მითითებულ სავარაუდო მაქსიმალურ ერთეულის ფასებს.

2.7.3 ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ – ინფრასტრუქტურის და შრომითი რესურსების გათვალისწინებით (თანახმად ტექნიკური დავალებისა).

2.7.4 ინფორმაცია ანალოგიური გამოცდილების შესახებ (პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება).

2.7.5 ინფორმაცია ავტოსერვისის მისამართის შესახებ.

2.7.6 ინფორმაცია შეცვლილი სათადარიგო ნაწილების ქარხნული საგარანტიო ვადების შესახებ.

2.7.6 ინფორმაცია შეკეთებული სათადარიგო ნაწილების საგარანტიო ვადების შესახებ.

2.7.7 ინფორმაცია ჩასასხმელი ძრავის და ტრანსმისიული ზეთების მოდელების შესახებ.

2.7.8 ჩასასხმელი ძრავის და ტრანსმისიული ზეთების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ აღნიშნული ზეთები აკმაყოფილებენ API-ის (American Petroleum Institute) უმაღლეს სტანდარტებს.

2.7.9 ჩასასხმელი ATF-ის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები.

2.7.10 ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შეცვლილი სათადარიგო ნაწილები იქნება ორიგინალი.

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილსი 2013 წელი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის.: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16 ტელ. 2 **26-13-34**, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204862078), შემდგომში წოდებული "**შემსყიდველად**", წარმოდგენილი ---------სახით და _____, შემდგომში წოდებული „**მიმწოდებლად**", წარმოდგენილი მისი დირექტორის ————— სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.4 "შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 "მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 "მომსახურება" _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ავტომობილების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
(CPV - 50110000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 50**000 (ორმოცდაათიათასი)** ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული მომსახურების გაწევა (საჭიროების მიხედვით ქ. თბილისი ან ქ. ბათუმი ან მისი მიმდებარე ტერიტორიაზე), ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მიმწოდებლის საწარმოო ფართზე;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა გაწეული მომსახურების შესახებ;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და ტექნიკურ დავალებაში მოცემულ მაჩვენებლებს.

5.2 მიმწოდებლის მიერ გარანტია მის მიერ შეკეთებულ ან შეცვლილ სათადარიგო ნაწილზე ვრცელდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან — განმავლობაში.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ ----------, **რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია **გონივრულ** ვადაში გამოასწოროს.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ამ ხელშკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5 მიმწოდებელმა ხელი უნდა შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს მამუკა კვირიკაშვილი _ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი.

8.2 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დღგ-ს არგადამხდელობის ცნობის წარმოდგენიდან **20 (ოცი)** დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში (თითოეული შემთხვევისთვის) მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო 50 ლარის ოდენობით;

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ასეთი დღისათვის შეუსრულებელი მომსახურების ან წუნდებით შესრულებული მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **5 (ხუთი)** პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში **შემსყიდველი** და **მიმწოდებელი** ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე **მხარის** მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს **მხარეებისათვის** გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი **შემსყიდველის** ან/და **მიმწოდებლის** შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი _ შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
_____	_____

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ბანკი:

ბანკი კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

დანართი №2

განფასების ცხრილების (პრეისკურანტები)

SKODA OCTAVIA NEW 1.6 (გამოშვების წელი – 2008)

#	ავტონაწილები	საზომიერთეული	არაუმეტეს ქვემოთ მოცემული ერთეულის ფასისა
1	ჰაერის ფილტრი	ცალი	50.00
2	საწვავის ტუმბო	ცალი	600.00
3	საწვავის ფილტრი	ცალი	50.00
4	გენერატორის ღვედი	ცალი	110.00
5	გენერატორი	ცალი	1350.00
6	ჰიდრავლიკის ღვედი	ცალი	130.00
7	ზეთის ფილტრი	ცალი	18.00
8	ავტ კოლოფის ზეთის ფილტრი	ცალი	120.00
9	ზეთის რადიატორი	ცალი	30.00
10	რადიატორის რეზინის მილი	ცალი	15.00
11	რადიატორის ხუფი	ცალი	19.20
12	თერმოსტატი	ცალი	130.00
13	თერმოსტატის ხუფი	ცალი	7.20
14	უდარნი ტიაგა	ცალი	120.00
15	მთავარი ტიაგის პილნიკი	ცალი	12.00
16	კონდენციონერის ფილტრი	ცალი	40.00
17	კონდენციონერის ღვედი	ცალი	130.00
18	დაბოლოვება	ცალი	120.00
19	უკანათვლის რეგულირების დაბოლოვება	ცალი	7.20
20	წინა სტუპიცის საკისარი	ცალი	500.00
21	უკანა სტუპიცის საკისარი	ცალი	600.00
22	სიჩქარეთა კოლოფის ბალიში	ცალი	180.00
23	ძრავის ბალიში	ცალი	150.00
24	გადამბულობის დისკო	ცალი	500.00
25	გადამბულობის ქურო	ცალი	400.00
26	ვიჟიმნოი საკისარი	ცალი	130.00
27	წინა ხუნდები	კომპლ	110.00
28	უკანა ხუნდები	კომპლ	110.00
29	ხელის მუხრუჭის ხუნდები	კომპლ	90.00
30	წინა ხუნდების დაჩიკი	ცალი	15.00
31	უკანა ხუნდების დაჩიკი	ცალი	15.00
32	მშრალი რეზინი წინა	ცალი	70.00
33	მშრალი რეზინი უკანა	ცალი	70.00

34	მშრალი ამორტიზატორი წინა	ცალი	250.00
35	მშრალი ამორტიზატორი უკანა	ცალი	250.00
36	სანთლების სადენი	ცალი	7.20
37	სანთლები	კომპლ	120.00
38	ბაბინა	ცალი	90.00
39	გოლოვკის სადები	ცალი	200.00
40	გოლოვკის ხუფის სადები	ცალი	55.00
41	ძრავის წინა სალნიკი	ცალი	50.00
42	ძრავის უკანა სალნიკი	ცალი	120.00
43	გამშვები კოლექტორის სადები	ცალი	15.00
44	წინა გიტარა	ცალი	350.00
45	უკანა დიდი გიტარა	ცალი	270.00
46	უკანა წინა გიტარა	ცალი	270.00
47	უკანა გვერდითა გიტარა	ცალი	250.00
48	უკანა (უკანა) გიტარ	ცალი	270.00
49	მაყუჩის უკანა ავზი	ცალი	120.00
50	წინა ამორტიზატორის ბალიში	ცალი	130.00
51	უკანა ამორტიზატორის ბალიში	ცალი	130.00
52	შარავოი ზედა	ცალი	130.00
53	შარავოი ქვედა	ცალი	130.00
54	წინა რაზვალნი ვტულკა	ცალი	35.00
55	უკანა რაზვალნი ვტულკა	ცალი	120.00
56	ყუმბარა შიდა	ცალი	600.00
57	ყუმბარა გარეთა	ცალი	280.00
58	შიდა ყუმბარის პილნიკი	ცალი	60.00
59	გარეთა ყუმბარის პილნიკი	ცალი	50.00
60	გადამბულობის მთავარი ცილინდრი	ცალი	350.00
61	ცეპლენიის მუშა ცილინდრი	ცალი	160.00
62	მუხრუჭის მთავარი ცილინდრი	ცალი	200.00
63	მუშა მუხრუჭის ცილინდრი	ცალი	167.98
64	ხელის მუხრუჭის ზამბარა	ცალი	14.40
65	ხელის მუხრუჭის ტროსი	ცალი	24.00
66	წინა საყრდენი დისკი	ცალი	300.00
67	უკანა საყრდენი დისკი	ცალი	270.00
68	მუხრუჭის ნათურა	ცალი	0.50
69	უკანა გაბარიტის ნათურა	ცალი	0.50
70	უკუსვლის ნათურა	ცალი	0.50
71	ნათურა შორსმაშუქი	ცალი	10.00
72	ნათურა ახლოსმაშუქი	ცალი	10.00
73	წინა ფარის გაბარიტის ნათურა	ცალი	0.50
74	მოხვევის მაჩვენებლის ნათურა	ცალი	0.50
75	ბურუსის ნათურა	ცალი	10.00
76	მინის საწმენდი რეზინები	კომპლ	120.00
77	უკანა შტანგის ვტულკა	ცალი	120.00
78	ცეპლენიის ქვედა ავზის მილები	კომპლ	12.00
79	უკანა ჭრიჭინა ვტულკა	ცალი	15.00

80	ზამბარა წინა	ცალი	150.00
81	ზამბარა უკანა	ცალი	150.00
82	წინა ამორტიზატორი	ცალი	550.00
83	უკანა ამორტიზატორი	ცალი	350.00
84	უკანა ბალკის რეზინი	ცალი	140.00
85	საჭის შლეიფი	ცალი	400.00
86	წყლის ამოსასხმელი დაჩიკი	ცალი	60.00
87	კომუტატორი	ცალი	1.00
88	გიდრომუფტი	ცალი	1.00
89	ვაკუმის მილი	ცალი	40.00
90	წყლის პომპა	ცალი	650.00
91	აბეესის დაჩიკი	ცალი	72.00
92	ძრავის ქვედა ბალიში	ცალი	150.00
93	ძრავის მარცხენა ბალიში	ცალი	150.00
94	ძრავის მარჯვენა ბალიში	ცალი	150.00
95	დინამოს რელე თავისი ჩოთქები	კომპლ	105.59
96	წინა ამორტიზატორის რეზინები	ცალი	1.00
97	უკანა ამორტიზატორის რეზინები	ცალი	1.00
98	სტარტერი	ცალი	780.00
99	რადიატორი	ცალი	400.00
100	ჰიდრავლიკის ტუმბო	ცალი	1.00
101	კონდენციონერის რადიატორი	ცალი	400.00
102	ძრავის კბილანა ღვედი	ცალი	160.00
103	ცეპლენიის ქვედა ავზი	ცალი	250.00
104	შემშვები კოლექტორის სადები	ცალი	15.00
105	რასპრედვალის სალნიკი	ცალი	12.00
106	ჰაერმზომი	ცალი	490.00
107	კლაპნის სალნიკები	კომპლ	90.00
108	შემშვები კლაპანი	ცალი	30.00
109	გამშვები კლაპანი	ცალი	30.00
110	შემშვები კოლექტორი	ცალი	350.00
111	გამშვები კოლექტორი	ცალი	150.00
112	გერმეტიკი	ცალი	17.00
113	წინა სტერჟინი	ცალი	90.00
114	უკანა სტერჟინი	ცალი	75.00
115	დამუხტვის რელე	ცალი	105.59
116	მუხრუჭის მილი	ცალი	50.00
117	წყლის ამოსასხმელის ავზი	ცალი	50.00
118	წყლის ამოსასხმელის ავზის ძრავი	ცალი	120.00
119	ზეთის რადიატორის მილი	ცალი	30.00
120	ძრავის ზედა გოფრირებული შლანგი	ცალი	20.00
121	საჭის ჰიდროგამაძლიერებლის დამჭიმი კრონშტეინი	ცალი	20.00
122	ზეთის გადამწოდი დაჩიკი	ცალი	50.00
123	მინის საწმენი ჩოთქები (დვორნიკი)	ცალი	40.00
124	წინა მორგვი (სტუპიცა)	ცალი	500.00

125	უკანა მორგვი (სტუპიცა)	ცალი	600.00
126	სანთლის ჩიბუხი	ცალი	7.20
127	ჰიდრავლიკის ავზის ჩობალი	ცალი	45.00
128	კონდენციონერის მილი	ცალი	130.00
129	საჭის მექანიზმი და პროცესორი	ცალი	4200.00
130	ტრავერსის ვტულკები	კომპლ	70.00
131	თერმოსტატის დაჩიკი	ცალი	45.00
132	მუხრუჭის ვაკუმი	ცალი	360.00
133	ელ მცველი	ცალი	1.00
134	ზედა შასავოისს პილნიკი	ცალი	15.00
135	ქვედა შასავოისს პილნიკი	ცალი	16.00
136	მუხრუჭის ლიაგუშკის შეცვლა	ცალი	110.00
137	ჰაერმზომის რეზინის მილი	ცალი	55.00
138	წყლის მისასხმელი ძუძუკა	ცალი	15.00
139	მინის საწმენდი მექანიზმი	კომპლ	250.00
140	"უდარნი ტიაგის პილნიკი"	ცალი	35.00
141	აბეესის ბლოკი	ცალი	900.00
142	კონდენციონერის კომპრესორის შეცვლა	ცალი	1800.00
143	გამათბიბლის ძრავი	ცალი	150.00
144	საბარგულის ამორტიზატორი	ცალი	120.00
145	მინუსის კლემა	ცალი	15.00
146	პლიუსის კლემა	ცალი	15.00
147	ჰიდრავლიკის მაღალი წნევის მილი	ცალი	75.00
148	მახავიკი	ცალი	1800.00
149	პრიბორის ნათურა	ცალი	2.00
150	კალენვალის დაჩიკი	ცალი	260.00
151	გენერატორის ღვედის დამჭიმი	ცალი	170.00
152	გენერატორის ღვედის გორგოლაჭი (როლიკი)	ცალი	85.00
153	კონდენციონერის როლიკის დამჭიმი როლიკი	ცალი	120.00
154	საქშენის მილის შეცვლა	ცალი	90.00
155	ტორპედოს მ/დაყენება	ცალი	150.00
156	ღვედის დამჭიმი ამორტიზატორი	ცალი	250.00
157	სტარტერის ღილაკი	ცალი	120.00
158	ძრავის ღვედის დამჭიმი	ცალი	260.00
159	ძრავის ღვედის როლიკი	ცალი	120.00
160	ძრავის ქვედა კარტერის დამცავი	ცალი	130.00
161	ამძრავის კბილანა (ბენდექსი)	ცალი	70.00
162	პოლუოსი	ცალი	1.00
163	წინა გიტარის წინა ტულკები	კომპლ	240.00
164	წინა გიტარის უკანა ტულკები	კომპლ	240.00
165	ამორტიზატორის ბალიშის საკისრი	კომპლ	35.00
166	კულოკ პავაროტა	ცალი	520.00
167	ტრავერსი	ცალი	400.00
168	ტრავერსის უმკები	ცალი	60.00
169	რიჩაგი	ცალი	120.00
170	წყლის პროპელერი	ცალი	550.00

171	კონდენციონერის პროპელერი	ცალი	450.00
172	წინა ბამპერი	ცალი	250.00
173	აბლიცოვკა	კომპლ	150.00
174	კაპოთი	ცალი	300.00
175	წინა კრიილო	ცალი	120.00
176	პადკრილნიკი	კომპლ	120.00
177	წინა საქარე მინა	ცალი	450.00
178	წინა კარის მინა	ცალი	130.00
179	წინა კარი	ცალი	220.00
180	უკანა კარის შუშა	ცალი	130.00
181	უკანა კარის პატარა შუშა	ცალი	140.00
182	უკანა კარები	ცალი	220.00
183	უკანა შუშა	ცალი	130.00
184	საბარგული	ცალი	150.00
185	უკანა ბამპერი	ცალი	200.00
186	წინა ფარი	ცალი	250.00
187	უკანა სტოტი	ცალი	100.00
188	მარჯვენა სარკე	კომპლ	300.00
189	მარცხენა სარკე	ცალი	300.00
190	კაპოტის პეტლი	ცალი	60.00
191	ფეჩის ვინტილიატორი	ცალი	50.00
192	ძრავის პლასმასის ტრუბკა (ბაკის ვინტილიატორის კლაპანი)	ცალი	60.00
193	კარის სახელურის ხუფი	ცალი	15.00
194	ძრავის ღვედის რემკომპლექტი (რემენი და რემნის დამჭიმი)	ცალი	500.00
195	კარის სახელურის მექანიზმი	ცალი	35.00
196	კარის სახელურის მექანიზმის კრონშტეინი	ცალი	20.00
197	ცენტრალური კარის საკეტი	ცალი	300.00
198	გაფართოვების ავზი	ცალი	50.00
199	გადაცემათა კოლოფის საკისარი	ცალი	120.00
200	კოლოფის სიჩქარეტა გადამრთველი	ცალი	75.00
201	კოლოფის სიჩქარეტა გადამრთველის სამაგრი	ცალი	10.00
202	დიფერენციალი	ცალი	1800.00
203	მაყუჩის სამაგრი	ცალი	35.00
204	შუშის ამწეს ღილაკი	ცალი	95.00
205	კოლოფის დამჭერი ბალიში ზედა	ცალი	180.00
206	შუშის ამწევი მექანიზმის დაფა	ცალი	250.00
207	სარკის მოხვევის მაჩვენებელი	ცალი	55.00
208	სუპორტის კრონშტეინი	ცალი	150.00
209	სანისლე ფარი	ცალი	170.00
210	სშუშის ამწევი მექანიზმის ძრავი	ცალი	890.00
211	ტურბოს წნევის დაჩიკი	ცალი	140.00
212	წინა სუპორტი	ცალი	200.00
213	უკანა სუპორტი	ცალი	250.00
214	უკანა ამორტიზატორის ვტულკა	ცალი	15.00

215	წინა ამორტიზატორის ვტულკა	ცალი	15.00
216	კარტერის სადები დიდი	ცალი	20.00
217	კარტერის სადები პატარა	ცალი	20.00
218	შედა ყუმბარის სალნიკი	ცალი	10.00
219	გარეთა ყუმბარის სალნიკი	ცალი	10.00
220	წინა მუხრუჭის მილი	ცალი	25.00
221	უკანა მუხრუჭის მილი	ცალი	25.00
222	წყლის ტუმბოს შკივი	ცალი	170.00
223	ძრავის ზეთი 5W40 (უნდა აკმაყოფილებდეს ავტომობილების მწარმოებლების მოთხოვნებს)	ლიტრი	20
224	ძრავის ზეთი 10W40 (უნდა აკმაყოფილებდეს ავტომობილების მწარმოებლების მოთხოვნებს)	ლიტრი	10
225	ტრანსმისიის ზეთი 75W90 (უნდა აკმაყოფილებდეს ავტომობილების მწარმოებლების მოთხოვნებს)	ლიტრი	35
226	ტრანსმისიის ზათი 80W90 (უნდა აკმაყოფილიბდეს ავტომობილების მწარმოებლების მოთხოვნებს)	ლიტრი	12
227	ჰიდრავლიკის ზეთი ATF (უნდა აკმაყოფილებდეს ავტომობილების მწარმოებლების მოთხოვნებს)	ლიტრი	35
228	ანტიფრიზი (უნდა აკმაყოფილებდეს ავტომობილების მწარმოებლების მოთხოვნებს)	1,5ლიტრი	23
229	მუხრუჭის სითხე DOT 4	0,5ლიტრი	15
230	ტაოტი	0,5კგ	15

SKODA OCTAVIA NEW 1.6 (გამოშვების წელი – 2008)

#	მომსახურება	შენიშვნა	საზომი ერთეული	არაუმეტეს ქვემოთ მოცემული ერთეულის ფასისა
1	ჰაერის ფილტრის შეცვლა		ცალი	0.00
2	საწვავის ფილტრის შეცვლა		ცალი	6.00
3	ძრავის ზეთის და ფილტრის შეცვლა		ცალი	6.00
4	გადაცემათა კოლოფის ზეთის და ფილტრის შეცვლა		ცალი	11.80
5	ზეთის რადიატორის მ/დაყენება		ცალი	12.00
6	ძრავში ზეთის ჩამატება		ცალი	0.00
7	ჰიდრავლიკის ზეთის შეცვლა		ცალი	0.00
8	საწვავის ტუმბოს შეცვლა		ცალი	35.00
9	საწვავის ავზის მ/დაყენება		ცალი	80.00
10	გენერატორის ღვედის შეცვლა		ცალი	48.00
11	გენერატორის მ/დაყენება		ცალი	60.00
12	გენერატორის რემონტი		ცალი	35.00

13	ჰიდრავლიკის ღვედის შეცვლა		ცალი	48.00
14	კონდენციონერის ფილტრის შეცვლა		ცალი	6.00
15	კონდენციონერის ღვედის შეცვლა		ცალი	48.00
16	კონდენციონერის რადიატორის მ/დაყენება		ცალი	60.00
17	კონდენციონერის რადიატორის აღდგენა	მცირე დაზიანება	ცალი	80.00
18	კონდენციონერის რადიატორის აღდგენა	საშ. დაზიანება	ცალი	180.00
19	კონდენციონერის სისტემის გაწმენდა		ცალი	50.00
20	კონდენციონერის სისტემის აღდგენა		ცალი	80.00
21	რადიატორის მ/დაყენება		ცალი	60.00
22	რადიატორის აღდგენა	მცირე დაზიანება	ცალი	80.00
23	რადიატორის აღდგენა	საშ. დაზიანება	ცალი	180.00
24	რადიატორის რეზინის მილის შეცვლა		ცალი	12.00
25	რადიატორის ჰიდრომუფტის შეცვლა		ცალი	0.00
26	თერმოსტატის შეცვლა		ცალი	60.00
27	თერმოსტატის ხუფის შეცვლა		ცალი	2.40
28	სიჩქარეთა გადაცემათა კოლოფის მ/დაყენება	ავტომატური	კომპლ	120.00
29	სიჩქარეთა გადაცემათა კოლოფის აღდგენა	ავტომატური	კომპლ	400.00
30	სიჩქარეთა კოლოფის ბალიშის შეცვლა		ცალი	50.00
31	მაყუჩის მ/დაყენება		ცალი	36.00
32	მაყუჩის უკანა ავზის მ/დაყენება		ცალი	14.40
33	მაყუჩის აღდგენა	მცირე დაზიანება	ცალი	24.00
34	მაყუჩის აღდგენა	საშ, დაზიანება	ცალი	33.60
35	მაყუჩის წინა ყელის მ/დაყენება		ცალი	12.00
36	მაყუჩის წინა ყელის აღდგენა		ცალი	12.00
37	ტრავერსის მ/დაყენება		ცალი	96.00
38	"ტიაგის" მ/დაყენება		ცალი	24.00
39	"უდარნი ტიაგის" მ/დაყენება		ცალი	17.00
40	"უდარნი ტიაგის" აღდგენა		ცალი	15.00
41	მთავარი ტიაგის აღდგენა		ცალი	0.00
42	დაბოლოვების მ/დაყენება		ცალი	12.00
43	დაბოლოვების აღდგენა		ცალი	15.00
44	უკანა თვლის რეგულირების დაბოლოვების შეცვლა		ცალი	7.20
45	წინა სტუპიცის საკისრის შეცვლა		ცალი	40.00
46	უკანა სტუპიცის საკისრის შეცვლა		ცალი	40.00
47	სტუპიცის რეგულირება		ცალი	12.00
48	წინა თვლების განშლა	(რაზვალი)	კომპლ	23.00
49	უკანა თვლების განშლა	(რაზვალი)	კომპლ	23.00
50	წინა თვლების განშლა კომპიუტერულად	(რაზვალი)	კომპლ	36.00
51	უკანა თვლების განშლა კომპიუტერულად	(რაზვალი)	კომპლ	36.00

52	გადაბმულობის დისკოს შეცვლა	მოხსნილ კოლოფზე	ცალი	12.00
53	გადაბმულობის ქუროს შეცვლა	მოხსნილ კოლოფზე	ცალი	12.00
54	ვიჟიმნოი საკისრის შეცვლა	მოხსნილ კოლოფზე	ცალი	12.00
55	გადამბულობის მთავარი ცილინდრის მ/დაყენება		ცალი	35.00
56	გადამბულობის მუშა ცილინდრის მ/დაყენება		ცალი	24.00
57	გადამბულობის ქვედა ავზის შეცვლა		კომპლ	24.00
58	გადამბულობის ზედა ავზის შეცვლა		კომპლ	35.00
59	წინა ხუნდების შეცვლა		კომპლ	12.00
60	უკანა ხუნდების შეცვლა		კომპლ	12.00
61	ხელის მუხრუჭის ხუნდების შეცვლა		კომპლ	12.00
62	სამუხრუჭე სითხის შეცვლა		ცალი	12.00
63	მუხრუჭის მთავარი ცილინდრის შეცვლა		ცალი	35.00
64	მუხრუჭის მუშა ცილინდრის შეცვლა		ცალი	30.00
65	ხელის მუხრუჭის ტროსის შეცვლა		ცალი	24.00
66	ანტიფრიზის შეცვლა		ცალი	12.00
67	ანტიფრიზის ჩამატება		ცალი	0.00
68	ძრავის შემოწმება		კომპლ	0.00
69	სავალი ნაწილების შემოწმება		კომპლ	0.00
70	პოლვოსის შეცვლა		ცალი	0.00
71	სანთლების შეცვლა		კომპლ	12.00
72	ბაბინის შეცვლა		ცალი	3.00
